ნარბი +

თბილისი. ქვიშხეთის ქ. კ-1. ბ-21
ტელ.: 995 32 61 59 49
მობ.: 995 99 50 59 49
tamazi.kvrivishv@mail.ru


NARBI +

Ap-t 21. K-1. Kvishkheti Str. Tbilisi. Georgia
Tel: 995 32 61 59 49
Mob: 995 99 50 59 49
tamazi.kvrivishv@mail.ru

ტექნიკური დასკვნა

ქ. თბილისი, გახოკიძის ქუჩა №24-ის მიმდებარედ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.19.004.076) არსებულ სასაწყობო შენობაზე, შემდგომში ერთი სართულის მოწყობისათვის, მდგრადობის დასადგენად.

დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენს მიერ შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, გახოკიძის ქუჩა №24-ის მიმდებარედ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.19.004.076) არსებული სასაწყობო შენობა 2/1, შემდგომში მასზედ მსუბუქი



კონსტრუქციებით ერთი სართულის მოწყობის მიზანშეწონილობისავის, მისი მდგრადობის დასადგენად.

შესასწავლი შენობა ერთსართულიანია. გეგმაში მართხკუთხა მოხაზულობისაა. ზომებით 30.6x12.45 მ. აშენებულია მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. მის მზიდ ჩონჩხს წარმოადგენს შენობის პერიმეტრზე მზიდი კედლები, სისქით 400 მმ, აშენებული შერეული, წვრილი სამშენებლო ბლოკისა და სილიკატური აგურის წყობით ქვიშა-ცემენტის ხსნარზე. გააჩნია ანტისეისმიური, მონოლითური რკინაბეტონის, სარტყელი. შენობას შუაში, გრძივი მიმართულებით, გააჩნია ანაკრები რკინაბეტონის კონსტრუქციებისაგან დამონტაჟებული გრძივი ჩარჩო, კოლონების 6 მეტრიანი ბიჯით. კოლონის ზომებით 400x400 მმ, ხოლო რიგელი დაახლოებით 400x600(h). შენობა დახურულია ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი გადახურვის ფილებით, სისქით 22 სმ. საძირკვლები შენობის პერიმეტრზე ლენტური ტიპისაა, მონოლითური ბეტონის, ჩაღრმავებით სავარაუდოთ 1.00 მ. ხოლო სვეტების ქვეშ რკინაბეტონის წერტილოვანი საძირკვლებია. სახურავი ბრტყელია.



ვიზუალურმა დათვალიერებამ გვაჩვენ, რომ შენობის საძირკვლებში ჯდენითი დეფორმაციები და აქედან გამომდინარე კედლებში ბზარები არ შეიმჩნევა.

ხანგრძლივი დროით შენობის უფუნქციურობის და უპატრონობის გამო შენობის სახურავი დაზიანებულია და ჩამოდის ატმოსფერული ნალექები. ამ უკანასკნელის ზემოქმედების შედეგად შენობის პერიმეტრზე ჩამოცვენილია შელესვის ფენა, გამოქარულია კედლის წყობა და მონოლითური რკინაბეტონის ანტისეისმიური სარტყელი. შენობის გრძივი მიმართულებით განივ კედლებს შორის მანძილი აღემატება დღეს მოქმედი სეისმიური ნორმებით მოცემულ სიდიდეს. იმავე ნორმების მიხედვით დარღვეულია ღიობებს შორის არსებული კედლის სიგრძეები.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემული შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელთან ახლოსაა. შესაძლებელია შენობის თავზე დამატებითი სართულის მოწყობა, მსუბუქი კონსტრუქციების გამოყენებით, იმ შემთხვევაში, თუ შენობის გასაძლიერებლად გავითვალისწინებთ შემდეგი ღონისძიებების ჩატარებას:

- გაძლიერდება შენობის კედლები მასზე არმატურის ბადის გაკვრით კედლის ორივე მხრიდან, არმატურის ნაგლინით მოჭიმვით და შელესვით მაღალი სიმტკიცის ქვიშა-ცემენტის ხსნარით, სისქით 50 მმ.
- გაძლიერდება ღიობებს შორის კედლები ლითონის გაგალინული პროფილებით.
- გაძლიერდება შენობის გადახურვის ანაკრები ფილები დამატებითი რკინაბეტინის ფილის მოწყობით.
- მოეწყობა დამატებითი განივი კედლები ან რკინაბეტონის განივი ჩარჩოები სეისმიური ნორმების მოთხოვნის მიხედვით.

ყველაფერი ამისათვის საჭირო იქნება შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, რის შემდეგაც შენობის კონსტრუქციების ერთობლივი მუშაობა უზრუნველყოფს მის მდგრადობას ექსპლოატაციის დროს.

შ.პ.ს. “ნარბის” დირექტორი
ინჟინერ-კონსტრუქტორი: თ. ქვრივიშვილი

შპს "ნარბი+" "NARBI+" CO., LTD 200225611